

სახელმძღვანელო
დიდი კაშხლების მშენებლობის
შედეგად
დაზარალებული თემებისათვის



wyal i
sicocxl iTvis!

მოქალაქეთა სახელმძღვანელო “კაშხლების წინააღმდეგ” მომზადდა მდინარეთა საერთაშორისო ქსელის მიერ ოქსფამ ავსტრალიისა და ფორდის ფონდის დახმარებით. ტექსტის ავტორები არიან ავიგა იმპოფი, ანა კეტრინ უნიდერი და სუზან ვონგი.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის Global Green Grants Funds- სახელმძღვანელოს თარგმნის და გამოცემის შესაძლებლობისათვის.

Green Alternative 2006

სარჩევი

შესავალი	3
თავი 1: ზოგადი ინფორმაცია კაშხლების შესახებ	5
რა არის კაშხალი;	
კაშხლების დანიშნულება;	
ვინ იღებს სარგებელს და ვის ადგება ზიანი კაშხლების მშენებლობის გამო;	
როგორ ფუნქციონირებენ კაშხლები;	
როცა კაშხლები კარგად არ ფუნქციონირებენ ეს იწვევს უარყოფით ზემოქმედებას როგორც მოსახლეობაზე ასევე მთავრობებზეც;	
ვინ გადაინდის კაშხლების აშენების საფასურს.	
თავი 2: კაშხლების მიერ გამოწვეული ზემოქმედებები	7
დიდი კაშხლების ზემოქმედება ადამიანებსა და გარემოზე;	
ძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული რეალობები;	
თავი 3: საერთაშორისო მოძრაობა დამანგრეველი ზემოქმედების მქონე კაშხლების წინააღმდეგ	11
კაშხლების წინააღმდეგ მებრძოლთა მიერ მიღწეული წარმატებები;	
ნაკლები ფული დიდი კაშხლებისათვის;	
წარმატებები... თუმცა კაშხლები კვლავ უქმნიან საფრთხეს გარემოს.	
თავი 4: როგორ უნდა გებრძოლოთ დიდ კაშხლებს	12
კამპანიის დაგეგმვა;	
დიდ კაშხლებთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიები;	
თევზჭერასთან დაკავშირებული კვლევა;	
მდინარის ნაპირებზე არსებული ბაღების კვლევა;	
რა შეიძლება გაკეთდეს კაშხლის მშენებლობის თითოეულ ეტაპზე;	
თავი 5: დიდი კაშხლების ალტერნატივები	20
ელექტროენერჯის ალტერნატივა;	
ახალი ენერჯო წყაროების მშენებლობა;	
კაშხლების წყალდიდობების მართვის ალტერნატივა	
ბოლოთქმა	22

შესავალი

მთელ მსოფლიოში ადამიანები იბრძვიან დიდი კაშხლების მშენებლობის წინააღმდეგ. ისინი იბრძვიან საკუთარი მდინარეებისა და საარსებო გარემოს დაცვისთვის, ითხოვენ იმ ზიანის კომპენსაციას, რომელიც უკვე აშენებულმა კაშხლებმა მიაყენათ. მოსახლეობას გააჩნია უკეთესი ალტერნატივები ენერჯის და წყლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ადამიანები იბრძვიან რათა მათი ხმები გათვალისწინებულ იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საერთაშორისო მოძრაობა კაშხლების წინააღმდეგ გაფართოვდა და შესაბამისად მრავალი წარმატებაც იქნა მიღწეული, კერძოდ, შეჩერებულ იქნა ზოგიერთი კაშხლის მშენებლობა, შეთავაზებულ და განხორციელებულ იქნა ალტერნატიული წინადადებები - პატარა კაშხლების მშენებლობისა და წყლის კონსერვაციის პროექტები. მოძრაობის შედეგად მოსახლეობის ნაწილმა უკეთესი კომპენსაცია მიიღო, ასევე განხორციელდა ზოგიერთი ძველი კაშხლის დემონტაჟი.

თუმცა მიუხედავად ამისა დიდი კაშხლების მშენებლობა კვლავ საფრთხეს წარმოადგენს მრავალი თემისთვის.

მდინარეთა საერთაშორისო ქსელმა მოამზადა მოქალაქეთა სახელმძღვანელო “კაშხლების წინააღმდეგ” რათა გაეზიარებინა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. მდინარეთა საერთაშორისო ქსელი წარმოადგენს ორგანიზაციას რომელიც მოხარულია დახმარება აღმოუჩინოს სხვადასხვა თემებს და ინტერესთა ჯგუფებს კაშხლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოქალაქეთა სახელმძღვანელო “კაშხლების წინააღმდეგ” პირველ თავში იძლევა ზოგად ინფორმაციას კაშხლებზე, რომელიც მოიცავს იმას თუ როგორ მუშაობს იგი და ვინ იღებს სარგებელს თუ ზიანს მათი მშენებლობის შედეგად; მეორე თავში საუბარი ეხება მოსახლეობაზე და ბუნებრივ რესურსებზე კაშხლების ზემოქმედებას; მესამე თავში აღწერილია კაშხლების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო მოძრაობა და მიღწეული წარმატებები; ხოლო მეოთხე თავში აღწერილია თუ როგორ და რა ფორმებით შეუძლია ადგილობრივ მოსახლეობას კაშხლების წინააღმდეგ ბრძოლა და საკუთარი უფლებების დაცვა; მეხუთე თავი გვაწვდის ინფორმაციას ენერჯის უკეთესი ალტერნატივების შესახებ, რომელიც უკეთესად აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებებს.

თავი 1: ზოგადი ინფორმაცია კაშხლების შესახებ

რა არის კაშხალი?

კაშხალი ეს არის დინების შეფერხების მიზნით აშენებული ქვის ან ბეტონის კედელი, რომლის აშენების შედეგად იქმნება ხელოვნური ტბა ან რეზერვუარი. რეზერვუარში დაგროვილი წყალი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ენერჯის გამომუშავების, საირიგაციო და სასმელი წყლის მიწოდების, წყალდიდობების მართვისათვის და სხვა დანიშნულებით.


მსოფლიოში 47 000-ზე მეტი დიდი კაშხალია (15 მ-ზე მაღალი). ყველაზე დიდი კაშხლები ჩინეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინდოეთშია აშენებული. მსოფლიოს უდიდესი კაშხლების სიმაღლეები 250 მ-საც კი აღემატებიან, ხოლო მათი სიგანე ზოგჯერ რამოდენიმე კილომეტრსაც აღწევს. მსგავსი სიდიდის კაშხლების ასაშენებლად ათ წელიწადზე მეტი დრო და მილიარდობით დოლარია საჭირო.¹

კაშხლების დანიშნულება

არსებობს რამდენიმე ტიპის კაშხლები:


- **საირიგაციო და წყლის მიწოდების კაშხალი;** ასეთი ტიპის კაშხალი ინახავს წყალს რეზერვუარში და ეს წყალი საჭიროების და მიხედვით არხების ან დიდი მილსადენების საშუალებით მიეწოდება ქალაქებსა და/ან ფერმებს;
- **ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის გამიზნული კაშხალი;** ამ მიზნისთვის აშენებული კაშხლის რეზერვუარში დაგროვილი წყალი ტურბინების დასატრიალებლად გამოიყენება, რომლის შედეგადაც ხდება ელექტროენერჯის გამომუშავება. გამომუშავებული ელექტროენერჯია ელექტროგადამცემი ხაზების საშუალებით ქალაქებსა თუ ქარხნებში მიემართება. ტურბინებში წყლის გავლის შემდეგ წყალი კვლავ მდინარეს უბრუნდება;
- **წყალდიდობის მართვისთვის გამიზნული კაშხალი;** ასეთი ტიპის კაშხალი ხშირი წვიმების დროს წყალს რეზერვუარში აგროვებს, რათა მაქსიმალურად იქნას დატვირთვა თავიდან აცილებული მდინარის ქვედინების გასწვრივ;
- **სანავიგაციო კაშხალი.** მსგავსი ტიპის კაშხალი ინახავს წყალს რეზერვუარში და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება წყლის დამატებითი რაოდენობის გაშვება დინებაში, როცა მდინარე იმდენად მენხერია, რომ შეუძლებელია ნავების მოძრაობა. ასეთი ტიპის კაშხლების არსებობა განაპირობებენ მთელი წლის განმავლობაში ნავების შეუფერხებელ მოძრაობას.

ვინ იღებს სარგებელს და ვის ადგება ზიანი კაშხლების მშენებლობის გამო



კაშხლებიდან ელექტროენერჯისა და წყლის მარაგის სახით სარგებელს ღებულობს სამრეწველო კომპლექსი და ქალაქების მოსახლეობა, ხოლო მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კომპანიები სარგებელს იაფი საირიგაციო წყლის სახით ღებულობენ. კაშხლები ხშირად ართმევენ რესურსებს ადგილობრივ სოფლის მოსახლეობას, და აძლევენ სარგებელს წარმოებას და ქალაქის მოსახლეობას, ხშირად მეზობელი სახელმწიფოებიდან.

კაშხლების მშენებლობას დიდი მოგება მოაქვს იმ სამშენებლო და საინჟინრო კომპანიებისთვისაც, რომლებიც აპროექტებენ და აშენებენ მათ. კაშხლებს სარგებელი საკმაოდ დიდია მთავრობებისთვისაც, ბიუჯეტში



კაშხლების მშენებლობისა და მუშაობის შედეგად მიღებული გადასახადების გზით. ამასთან, ვინაიდან კაშხლების ასაშენებლად კოლოსალური თანხებია საჭირო, შესაძლებელია ამ თანხებიდან სარგებელი კორუმპირებულმა მთავრობის ან კომპანიის წარმომადგენლებმაც ნახონ.

რაც შეეხება ზიანს, დიდი კაშხლების მშენებლობით ყველაზე დიდი ზიანი ადგილობრივ მოსახლეობასა და ადგილობრივ ფერმერებს ადგებათ. კაშხლების ასაშენებლად საჭირო გზების და/ან რეზერვუარის ასაშენებლად, მილიონობით ადამიანმა დაკარგა თავისი საცხოვრებელი გარემო. ამასთან, მდინარის ქვედინების გასწვრივ მცხოვრებმა მილიონებით ადამიანმაც დაკარგა საარსებო წყარო და იძულებული გახდა შეეცვალა ტრადიციული ცხოვრების წესი.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ როგორც წესი პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს კაშხლების მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უფრო მეტიც, მათ არ იციან თავიანთი უფლებები ისეთი საკითხების გარშემო, როგორიცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი განხილვები, ახალი მიწების და კომპენსაციის მოთხოვნის და ა.შ. მა თარ იციან რომ უფლება აქვთ უარი განაცხადონ კაშხლის მშენებლობაზე. ამასთან ადგილობრივი მოსახლეობა უმრავლეს შემთხვევაში ვერც იმ ელექტროენერგიიდან ან წყლიდან იღებს სარგებელს, რომელიც მათ მეზობლად არსებული კაშხლისგან მიიღება.

როგორ ფუნქციონირებენ დიდი კაშხლები

მართალია, დიდი კაშხლები გარკვეულ სარგებელს იძლევიან, მაგრამ ხშირია შემთხვევები როდესაც კაშხლები ვერ გამოიმუშავენ იმდენ ელექტროენერგიას ან ვერ რწყავენ იმდენ მიწას, რამდენიც თავდაპირველად იყო დაგეგმილი. ეს განპირობებულია კაშხლის მშენებლების გადაჭარბებული გათვლებით მდინარეში არსებული გამოსაყენებელი წყლის ოდენობის შესახებ.

წყალდიდობის მართვისთვის განკუთვნილ კაშხლებს ძალუბთ მცირე დატბორვების თავიდან აცილება, თუმცა უფრო ძლიერი წყალდიდობის დროს შესაძლებელია რეზერვუარმა ვერ გაუძლოს დიდი ოდენობის წყალს და გამოიწვიოს არამართო მრავალი ადამიანის სახლ-კარის დატბორვა, არამედ ადამიანთა მსხვერპლიც კი.

კაშხლები არ ფუნქციონირებენ მუდმივად. კაშხლების სიცოცხლის ხანგძლივობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მდინარეში არსებული ნატანის ოდენობაა. დროთა განმავლობაში რეზერვუარები ამ ნატანით ივსება და კაშხლებიც თანდათანობით უფრო ნაკლებ ეფექტურნი ხდებიან. ეს პროცესი მანამ გრძელდება, სანამ კაშხალი საერთოდ არ შეწყვეტს ფუნქციონირებას.



როცა კაშხლები კარგად არ ფუნქციონირებენ ეს იწვევს უარყოფით ზემოქმედებას როგორც მოსახლეობაზე ასევე მთავრობებზეც

იაკირეტას კაშხალს, არგენტინის ყოფილი პრეზიდენტმა, კარლოს მენემმა კორუფციის მონუმენტი უწოდა. კაშხლის დანახარჯები დაგეგმილი 2,7 მილიარდი დოლარიდან გაიზარდა 11,5 მილიარდ დოლარამდე, თუმცა პროექტი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

არგენტინასა და პარაგვაიში მდებარე იაკირეტას კაშხალი, დაგეგმილის მხოლოდ 60% ენერჯიას გამოიმუშავებს. პროექტის არამომგებიანობის გამო ვგუფუს, რომელიც ამ კაშხალს მართავს, მილიარდობით დოლარის ვალი აქვს და არ შეუძლია ამ ვალის გასტუმრება.

ხშირად მთავრობები კაშხლების ასაშენებლად სესხულობენ ფულს იმ ვარაუდით, რომ ეს კაშხლები გაზრდიან შემოსავლებს. თუ ამენებულმა კაშხალმა ვერ გამოიმუშავა დაგეგმილი ელექტროენერჯიის მოცულობა, მთავრობები სესხის დაბრუნებისთვის საჭირო ოდენობის თანხასაც კი ვერ მიიღებენ, რაც გამოიწვევს ისეთი დანახარჯების შემცირებას, როგორცაა დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე, ეს კი თავის მხრივ უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მრავალ ადამიანზე.

დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კაშხლების ასაშენებლად განხორციელებულმა ინვესტიციებმა შესაძლოა გამოიწვიოს არა სიღარიბის შემცირება, რა მიზანსაც ემსახურებოდა ამ კაშხლის დაფინანსება, არამედ პირიქით სიღარიბის ზრდა, ვინაიდან წარუმატებელ პროექტში განხორციელებული ინვესტიცია კიდევ უფრო დაამძიმებს სახელმწიფოს ვალს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, მაგალითად მსოფლიო ბანკის.

ვინ გადაიხდის კაშხლების აშენების საფასურს

ყოველწლიურად საშუალოდ 40 მილიარდი აშშ დოლარი იხარჯება კაშხლების ასაშენებლად. რადგან კაშხლების მშენებლობა ძვირი ჯდება, ამიტომ მთავრობებს სჭირდებათ სესხის აღება სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან. მათ შორის კაშხლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამფინანსებელი მსოფლიო ბანკია. ამ ბანკს მთელი მსოფლიოში დაახლოებით 60 მილიარდი დოლარი აქვს დახარჯული 600 კაშხლის ასაშენებლად. მსოფლიო ბანკის გარდა არსებობენ სხვა ფინანსური ინსტიტუტებიც, ისეთები როგორებიცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი. ეს ინსტიტუტებიც მსოფლიო ბანკის მსგავსად იძლევიან სესხებს კაშხლის მშენებლობისთვის.

როდესაც მსგავსი ტიპის ბანკები ნაწილობრივ აფინანსებენ კაშხლის მშენებლობას, მთავრობებს უადვილდებათ სესხის მიღება კომერციული ბანკებიდან. განვითარებული ქვეყნები, როგორცაა მაგ. გერმანია და იაპონია, ასევე იძლევიან კრედიტებსა და გრანტებს, კაშხლების ასაშენებლად.

მას მერე რაც კაშხალი აშენდება, იმისდა მიუხედავად თუ რამდენად ფინანსურად მომგებიანია პროექტი, მთავრობა ვალდებულია, უკან დააბრუნოს სესხი,

თავი 2: კაშხლების მიერ გამოწვეული ზემოქმედებები

მაღისემელო დიდიან ტაუ, ლესოტოელი ქალბატონი, თავიდანვე წინააღმდეგი იყო მისი თემის მიწაზე დიდი კაშხლის მშენებლობისა. თუმცა კაშხლის მშენებლებმა დაარწმუნეს იგი, რომ რამოდენიმე ადამიანის გადასახლების ხარჯზე უამრავი ადამიანი უკეთესად იცხოვრებდა, ხოლო მისი თემი მიიღებდა შესაბამის კომპენსაციებს, სასმელი წყლით მომარაგებას, აშენდებოდა ახალი სკოლები და საცხოვრებელი სახლები.

თუმცა დაპირებები არ შესრულებულა. “ ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი კომპენსაცია ჩვენი მიწებისთვის, რაც არამარტო ჩვენი შვილების არამედ მომავალი თაობების დაღუპვასაც ნიშნავს, რადგან მათ არანაირი საარსებო წყარო აღარ ექნებათ,” განაცხადა მეღისემელომ.

სამწუხაროდ ეს ისტორია, ასახავს 40-დან 80 მილიონამდე იძულებით გადასახლებული ადამიანის ბედს. ამ ადამიანების უმეტესობა დღეს კიდევ უფრო გაჭირვებულია, ვიდრე კაშხლების აშენებამდე, რადგანაც დღეს ისინი ფაქტობრივად სახლ-კარისა და საცხოვრებელი გარემოს გარეშე არიან დარჩენილები.

დღესდღეობით დიდი კაშხლების მშენებლობის შედეგად, წყლით არის დაფარული ცხოველთა რამდენიმე ძალზედ მნიშვნელოვანი საცხოვრებელი არეალი და ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები.

ლატორვის შედეგად განადგურდა მდინარეებში საარსებო გარემო. ყოველივე ამან გამოიწვია თევზების, ცხოველებისა თუ მცენარეთა ზოგიერთი სახეობების გადაშენება.

დიდი კაშხლების ზემოქმედება ადამიანებსა და გარემოზე

კაშხლების ზემოქმედება დამლუპველია ადგილობრივ მოსახლეობაზე. ის ოჯახები რომლებიც კაშხლის ასაშენებელი ადგილის მახლობლად ცხოვრობენ, კარგავენ სახლებს, მიწებს და საარსებო წყაროს. ადასახლების შედეგად, თემები ხშირად აღარ არიან ერთად დასახლებულნი, რის გამოც მათი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება.

წყლის უზარმაზარი რეზერვუარები ანადგურებენ ცხოველთა და მცენარეთა საარსებო გარემოს. ტყეები და ჭაობები იფარება წყლით, რაც ყოფს ცხოველთა ჰაბიტატებს და აბრკოლებს სამიგრაციო მარშუტებზე მათ მოძრაობას.

რეზერვუარები ქმნიან ჯანმრთელობის პრობლემებს. ისეთი დაავადებების შემთხვევათა რიცხვი როგორცაა მაღარია და შისტომიასისი², იზრდება, რადგან რეზერვუარები წარმოადგენენ კოლოებისა და სხვა დაავადების გადამტანი მწერების ადგილსამყოფელს.


წყალი და ელექტროენერგია კაშხლებიდან მიეწოდებათ მათ, ვისაც საფასურის გადახდის შესაძლებლობა აქვთ. კაშხლების გამოყენებით გამოუმუშავებული ელექტროენერგია, რომელიც იმ წყალს იყენებს, რომელსაც ადგილობრივი ფერმერები და მეთევზეები მოიხმარენ, მიეწოდება იმათ ვისაც გამოუმუშავებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა შეუძლიათ.

დიდი კაშხლები ანადგურებს თევზსა და მეთევზეობას. მდინარის ზედადინებაში თევზის სახეობების შემცირება გამოწვეულია კაშხლების მიერ თევზების სამიგრაციო მარშუტის ბლოკირებით. შედეგად მცირდება ერთის მხრივ თევზის აღწარმოება, ხოლო მეორეს მხრივ წყდება მდინარის ქვედადინებაში თევზის გადაადგილება. ამასთან მდინარის ქვედადინებაში მნიშვნელოვნად იცვლება დინებისა და წყლის ხარისხის, რაც თევზის სახეობებზე გამანადგურებლად მოქმედებს. ყოველივე ეს კი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მეთევზეობაზე ანუ იმ ხალხზე, რომელთა საარსებო წყაროს თევზჭერა წარმოადგენს.

დიდი კაშხლები აბინძურებს წყალს.

მდინარის ქვედინებაში კაშხლების გამო არსებულმა დაბალი ხარისხის წყალმა შეიძლება მოსხლეობასა და საქონელში დაავადებების გვრცელება გამოიწვიოს.


დიდი კაშხლები ამცირებს მოსავალს. დიდი კაშხლების მშენებლობისას იძირება არამარტო საუკეთესო სასოფლო სამეურნეო სავარგულები, არამედ ბრკოლდება მდინარის მიერ იმ ნატანის მდინარის ქვედინებაში ჩამოტანა, რაც ასე მნიშვნელოვანია მიწების მინერალური სასუქით გამდიდრებისთვის. შედეგად მცირდება მოსავალი. გარდა ამისა არსებობს იმის



შესაძლებლობაც, რომ რეზერვუარიდან გამოშვებულმა წყალმა გადარეცხოს მდინარის ნაპირებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული რეალობები

კაშხლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოციალური ზემოქმედება მოსახლეობის იძულებითი გადასახლებაა. რეზერვუარები წყლით ფარავს იმ ტერიტორიებს, სადაც ხალხი ცხოვრობს, მოჰყავს მოსავალი, თევზაობს და ზრდის საქონელს. ზოგჯერ იმ ადგილზე, სადაც რეზერვუარი უნდა აშენდეს, ცხოვრობენ ისეთი ოჯახები, რომლებიც ამ



თევზის სახეობების შემცირება გამოწვეულია კაშხლების მიერ თევზების სამიგრაციო მარშუტის ბლოკირებით, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ხალხზე, რომელთა საარსებო წყაროს თევზჭერა წარმოადგენს.

კაშხალი იყენებს იმ წყალს, რომელსაც ფერმერები და მეთევზეები მოიხმარდნენ, ხოლო ელექტროენერგია მიეწოდებათ მათ, ვისაც გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა შეუძლია.

დიდი კაშხლები ამცირებს მოსავალს, რეზერვუარიდან გამოშვებული წყალი რეცხავს მდინარის ნაპირებზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს.

მდინარის ქვედადიდებაში კაშხლების გამო არსებულმა დაბალი ხარისხის წყალმა შეიძლება დაავადებების გავრცელება გამოიწვიოს.

ადგილთან ისტორიულად არიან დაკავშირებულნი მრავალი საუკუნის განმავლობაში. თუმცა ეს ფაქტორი არ უშლით ხელს მთავრობასა თუ კაშხლის მშენებლებს, ამ ხალხის იძულებით გადასახლებაში.

იძულებითი გადასახლება იწვევს მოსახლეობის კიდევ უფრო გაღატაკებას. მათ ექნებათ პრობლემები საკვებისა და შემოსავლის მოპოვებასთან დაკავშირებით. სოფლის მოსახლეობა შეიძლება გადასახლდნენ დიდ ქალაქებში, სადაც მათ მოუწევთ ცხოვრების ახალ წესთან შეგუება, რის გამოც შესაძლებელია დანაშაულთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებით შეექმნათ ახალი პრობლემები.

იძულებითი გადაადგილება ანადგურებს თემებსა და კულტურებს. ხშირად ხდება სოფლების გაყოფა, რაც განაპირობებს იმას, რომ მეგობრები და ნათესავები ერთმანეთთან ახლოს აღარ ცხოვრობენ. ხშირად კაშხლის მშენებლობის მსხვერპლნი აბორიგენი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები ხდებიან. ხშირია კულტურის ძეგლებისა და სასაფლაოების ჩაძირვა, რაც მოსახლეობას მამაპაპისეულ მიწებთან კავშირს საბოლოოდ უკარგავს.

ლაოსში ჰოუაი ჰო კაშხლის მშენებლობას, ნია ჰუნის ეთნიკური უმცირესობის გადასახლება მოჰყვა. „ზოგი ადამიანი ფიქრობს რომ ისინი დაავდნენ გადასახლების შედეგად, რადგანაც ეს აღარ არის ჩვენი მიწა. ეს უფრო გადასახლებას ჰგავს სხვა ქვეყანაში. ჩვენი სამშობლო, ჩვენი სახლი განადგირებულია“ –აცხადებენ ისინი.

კაშხლების მშენებლობის შედეგად, იძულებითი გადასახლებულ მოსახლეობაში დიდია როგორც ემოციური ასევე ფიზიკური პრობლემები. იზრდება ალკოჰოლიზმის, დეპრესიის, ოჯახური ძალადობის, დაავადებებისა და თვითმკვლელობათა რიცხვი.

გადასახლებასთან დაკავშირებული პრობლემები

გადასახლება ეწოდება პროცესს, როცა კაშხლების გამო დაკარგული სახლების ნაცვლად მოსახლეობას ახალი სახლები ურიგდებათ. ისინი შეიძლება შეასახლონ ან არსებულ ან საგანგებოდ ამ მიზნით აშენებულ ახალ სოფლებში.

კაშხლის მშენებლები ხშირად პირდებიან ხალხს, რომ მათი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნება გადასახლების შემდეგ, რადგანაც ისინი დასაქმდებიან, მიიღებენ ახალ დიდ სახლებს, უზრუნველყოფილი იქნებიან ელექტროენერჯითა და წყლით. თუმცა როგორც წესი ეს დაპირებები არ სრულდება. პრაქტიკაში, ახალი სახლები გაცილებით უფრო პატარა და ცუდად აშენებულია, ვიდრე პირდებოდნენ. ამასთან მოსახლეობისთვის ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ელექტროენერჯისა და წყლის ტარიფის გადახდა. მიღებული მიწები უფრო პატარაა, თან ნაკლებ ნაყოფიერი. შესაბამისად, ხშირია ფაქტები, როდესაც ახალ მიწაზე ვერ მოჰყავთ იმდენივე მოსავალი ან ვერ თევზაობენ ისე როგორც ადრე, შესაბამისად მცირდება შემოსავალი და მძიმდება ოჯახების ყოფა-ცხოვრება.

მრავალი ადამიანი ვერ იღებს შესაბამის კომპენსაციას

კომპენსაცია არის გადასახლების შემდეგ მიღებული დანაკარგის ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურება.

მრავალი ადამიანი ვერ ღებულობს კომპენსაციას სრულად ან საერთოდ. ეს იმიტომ ხდება, რომ ხშირ შემთხვევაში მოსახლეობას არ აქვს საკუთრების მფლობელობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტაცია, რის გამოც მთავრობას მიაჩნია, რომ მათ არც კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვთ.

უარყოფით ზეგავლენას განიცდის ასევე მდინარის ქვედაღინების გასწვრივმცხოვრები მილიონობით ადამიანიც.

კაშხლები იმ მილიონობით ადამიანის საარსებო გარემოსაც სპობს, რომლებიც მდინარის ქვედაღინების გასწვრივ ცხოვრობენ.

კაშხლების გამო ნადგურდება მეთევზეობა, რადგანაც იცვლება წყლის დინება და კაშხლის არსებობის გამო ბრკოლდება მდინარის ზეღინებაში თევზების მოხვედრა და შესაბამისად გამრავლების ადგილამდე მისვლა. რის გამოც მდინარეში თევზის სახეობები მცირდება ან საერთოდ ქრება. შედეგად მოსახლეობა კარგავს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს.

წყლის დინების ცვლილება იწვევს მოსავლის მნიშვნელოვან შემცირებასაც. მდინარეს მოაქვს მნიშვნელოვანი ნატანი, რომელიც აუცილებელია ნიადაგის გამდიდრებისათვის. კაშხლები ხელს უშლიან სწორედ მდინარის ამ ნატანს, რომ მოხვდნენ მდინარის ქვედაღინებაში. ამ ნივთიერებების ნაკლებობის გამო ნიადაგში მცირდება მიღებული მოსავლის რაოდენობა, თუ არ იქნება გამოყენებული ქიმიური სასუქი ნიადაგის გასამდიდრებლად. ყოველივე ეს კი ისევ მძიმე ტვირთად აწევა მოსახლეობას.

სუფთა წყლის ნაკლებობა

კაშხლის გამო წყალი შეიძლება დაბინძურდეს მდინარის ქვედაღინებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანებისა და ცხოველების დაავადება მისი ღალევის ან მასში ბანაობის შედეგად. ნაკლები წყალი რჩება მოსახლეობისთვის სასოფლო სამეურნეო მიწების ირიგაციისათვისაც.

კაშხლის ოპერატორები ზოგჯერ რეზერვუარებიდან წყალს გაუფრთხილებლად უშვებენ, რაც იწვევს მდინარეში წყლის დონის უეცარ მატებას. ამან შესაძლოა გამოიწვიოს არამართო მოსახლეობის კუთვნილი ნაგებობისა თუ სათევზაო მოწყობილობების დაკარგვა, არამედ ადამიანთა დაზარაობაც კი.

ლესოტოში ადგილობრივი მოსახლეობა სიღარიბის წინააღმდეგ იბრძვის

ლესოტოში სანამ კატცეს კაშხალი აშენდებოდა, ადგილობრივი მოსახლეობას მოსავლის მოყვანა მთელი წლის განმავლობაში შეეძლო. მათ მოჰყავდათ გოგრა, ბარდა, ლობიო, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული. მათ ვრცელ მინდვრებზე იმდენი მოსავალი მოდიოდა, რომ სხვებსაც თავისუფლად უნაწილებდნენ ხოლმე. თუმცა გადასახლების შემდეგ, დაპირებები კომპენსაციისა და ახალი საარსებო წყაროს მიცემის შესახებ დაირღვა.

“სიცოცხლე გადასახლებულ ტერიტორიაზე რთულია. ჩვენ გვიწევს ბრძოლა ყველაფრისთვის, ველური ბოსტნეულის მოპოვებისთვისაც კი. მალიკალიკოში საკვები გვექონდა მთელი წლის განმავლობაში, აქ კი მთელი წლის განმავლობაში ვშიშვლობთ,” აღნიშნა ერთ-ერთმა გადასახლებულმა.

მოსახლეობა ლესოტოში დღემდე იბრძვის სამართლიანი კომპენსაციისთვის. მათ დაწერეს საჩივრები კაშხლის მშენებლების წინააღმდეგ, მოაწვეეს დემონსტრაციები. 2005 წლის ბოლოს მთავრობის ჩინოვნიკებმა მათ პირობა მისცეს, რომ ყველა მათი მოთხოვნა შესრულებული იქნებოდა, თუმცა...

თუ შეიტყვევთ, რომ თქვენი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად კაშხლის მშენებლობა დაგეგმილი, მნიშვნელოვანია, რომ გახსოვდეთ მსგავსი ისტორიები. კარგად უნდა დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეიცვლება თქვენი და თქვენი ოჯახის ცხოვრება, რა გავლენას იქონიებს კაშხლის აშენება თქვენი ოჯახის შემოსავალსა, თუ კულტურაზე.

თავი 3: საერთაშორისო მოძრაობა დამანგრეველი ზემოქმედების მქონე კაშხლების წინააღმდეგ

მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იბრძვის კაშხლების მშენებლობის წინააღმდეგ: მეთევზეები პაკისტანში, ფერმერები ტაილანდში, ადგილობრივი მოსახლეობა გვატემალაში, უნივერსიტეტის პროფესორები იაპონიაში, ადამიანის უფლებების დამცველები უგანდაში. ისინი იბრძვიან მოსახლეობის საარსებო წყაროს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიზნით. იბრძვიან რათა ხალხს ჰქონდეთ ხმის უფლება იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე.

მსგავსი მიდგომა გაცილებით უფრო ეფექტური მაშინ ხდება, როცა ადამიანები კაშხლების წინააღმდეგ რეგიონალურ და საერთაშორისო ალიანსებს ქმნიან. დღეს მსგავსი ალიანსები არსებობს ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ და სამხრეთაღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ აზიაში, ევროპასა და აფრიკაში კაშხლების წინააღმდეგ მებრძოლთა ქსელების სახით. ამ ქსელებში გაერთიანებული არიან უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა, სახალხო მოძრაობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მკვლევარები და სხვა ჯგუფები. ხალხი ამ ჯგუფებს იყენებს, როგორც ინფორმაციის გაზიარების, კაშხლების წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი მოქმედებებისა და უფლებების დაცვის საშუალებას.

კაშხლების წინააღმდეგ ორი საერთაშორისო შეხვედრა მოეწყო, რათა აქტივისტებს გაეზიარებინათ გამოცდილება და შეემუშავებინათ დიდი კაშხლების საწინააღმდეგო სტრატეგიები. პირველი შეხვედრა 1997 წელს ბრაზილიაში შედგა, სადაც 20 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ხოლო მეორე შეხვედრა გაიმართა 2003 წელს ტაილანდში სადაც 61 ქვეყნის 300 მონაწილე შეხვდა ერთმანეთს. დიდი კაშხლების წინააღმდეგ მოძრაობა განაგრძობს ზრდასა და გაძლიერებას.

კაშხლების წინააღმდეგ მებრძოლთა მიერ მიღწეული წარმატებები

დღეს გაცილებით ნაკლები კაშხალი შენდება - კაშხლების მშენებლობის შეჩერების პროცესში საერთაშორისო მოძრაობამ გარკვეული წარმატებებს მიაღწია. დღევანდელი მონაცემებით, დღეს გაცილებით ნაკლები კაშხლები შენდება, ვიდრე ადრე.

ძველი კაშხლების დემონტაჟი - აშშ-სა და ევროპაში უკვე დაწყებულია იმ კაშხლების დემონტაჟი, რომელიც მრავალი წლის წინ იყო აშენებული. საფრანგეთში კი რამოდენიმე მცირე კაშხლის დემონტაჟის შემდეგ მდინარეებმა აღიდგინეს დინების ბუნებრივი რიტმი. ორაგული კვლავ დაიწყო თავისუფლად ცურვა მდინარის ზედა და ქვედა დინებაში.

დაზარალებული მოსახლეობის უფლებები გათვალისწინებულია - განხორციელებული კამპანიების შედეგად მრავალმა ადამიანმა მიიღო უკეთესი კომპენსაცია, გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც საზოგადოების მონაწილეობის შედეგად, მოსახლეობამ მიიღო წყალი და ელექტროენერჯია.

დიდი კაშხლების მშენებლობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და ადამიანის და გარემოს უფლებათა დამცველთა მეცადინეობით არსებობს საერთაშორისო სახელმძღვანელო წესები, რომელიც სავალდებულოა დიდი კაშხლების მშენებლობისას. ეს სახელმძღვანელო პრინციპები შეიქმნა მსოფლიო კაშხლების კომისიამ. კომისიის განცხადებით, არც ერთი კაშხალი არ შეიძლება აშენდეს დაზარალებული მოსახლეობის თანხმობის გარეშე. მშენებლებმა მოსახლეობასთან უნდა დადონ ოურიდული

კონტრაქტი კომპენსაციების შესახებ. თუ კონტრაქტი არ შესრულდება, დაზარალებულ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საშუალება მშენებლების წინააღმდეგ აღძრას სარჩელი. მართალია, მრავალ სახელმწიფოს ვერ კიდევ არ უღიარებია ეს პრინციპები ეროვნული კანონმდებლობის დონეზე, მაგრამ დაზარალებული მოსახლეობისათვის ეს პრინციპები გარკვეული ინსტრუმენტია მათი უფლებების დასაცავად.

ნაკლები ფული დიდი კაშხლებისათვის - დიდი კაშხლების ასაშენებლად დიდი ფინანსებია საჭირო, რის გამოც ლათინური ამერიკის, აფრიკის და აზიის ქვეყნების მთავრობები იძულებულნი არიან ისესხონ ფული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და კომერციული ბანკებისგან. ოციოდე წლის წინ ეს ბანკები უპრობლემოდ იძლეოდნენ ფულს კაშხლების ასაშენებლად.

დღეს დიდი კაშხლების წინააღმდეგ არსებული ძლიერი ოპოზიციური მოძრაობის შედეგად, ისინი ასეთ პროექტებში სულ უფრო და უფრო ნაკლებ თანხებს აბანდებენ, რაც ურთულებს მთავრობებს იმ ამოცანას, რომ ააშენონ დიდი კაშხლები.



წარმატებები.. .. თუმცა კაშხლები, კვლავ უქმნიან საფრთხეს გარემოს

იმის და მიუხედავად, რომ დიდი კაშხლების წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი წარმატება იქნა მიღწეული, ბევრი რამ გასაკეთებელია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მთავრობები კვლავ ცდილობენ დამანგრეველი კაშხლების მშენებლობას. მრავალი ადამიანი კვლავ საფრთხის წინაშეა დაკარგოს საკუთარი სახლი თუ მიწა. ამიტომაც აუცილებელია:

- გაძლიერდეს მოძრაობა კაშხლების მშენებლობის წინააღმდეგ;
 - ერთობლივი მუშაობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და ერთმანეთისგან იმის სწავლა, თუ როგორ უნდა იქნეს დაცული ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის უფლებები.
- რაც უფრო მძლავრია კაშხლების მიმართ ხალხის წინააღმდეგობა, მით უფრო ურთულდებათ მთავრობებსა და კომპანიებს კაშხლების მშენებლობის დაწყება.

თავი 4: როგორ უნდა ვებრძოლოთ დიდ კაშხლებს

კაშხლების წინააღმდეგ საბრძოლველად ან საკუთარი უფლებების დასაცავად მრავალი რამის გაკეთება შეიძლება. თავდაპირველად აუცილებელია შეგროვდეს ინფორმაცია კაშხლისა და იმ ზემოქმედებების შესახებ, რაც შეიძლება გამოიწვიოს ამ კაშხლის მშენებლობამ ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს რა მიზანს გსურთ მიაღწიოთ და იდენტიფიცირდეს ამ მიზნის მიღწევის საშუალებები. ამის შემდეგ კი უკვე აუცილებელია მოქმედება ამ მიზნების მისაღწევად. აღნიშნულ პროცესს ზშირად კამპანიას უწოდებენ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კამპანია დაიწყოთ რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე. კამპანიის პროცესში შეიძლება განხორციელდეს იქნას ისეთი მნიშვნელოვანი ქმედებები, როგორიცაა ინფორმაციის მიღება და გავრცელება, ხალხის შეკრება თემში და თანამშრომლობა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე.

ზოგიერთ ქვეყნებში კაშხლების წინააღმდეგ კამპანიის ორგანიზება საშიშია, როგორც ამ აქტივისტებისთვის, ასევე მათი ოჯახის წევრებისთვისაც. ზოგჯერ მთავრობის და კაშხლის მშენებლების გეგმების გაკრიტიკება გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ყველა საფრთხე გათვალისწინებულ იქნას კამპანიის დაგეგმვის დროს.

კამპანიის დაგეგმვა

ინფორმაციის შეგროვება

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს კაშხალმა ადგილობრივ მოსახლეობაზე და გარემოზე. ინფორმაციის შესაგროვებლად შესაძლებელია გამოკითხული იქნას, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები, ასევე სათანადო დახმარების გაწევა შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, უნივერსიტეტის მკვლევარებსა თუ სხვა ჯგუფებსაც. ქვემოთ მოყვანილია კითხვები, რომლებზე ფოკუსირება აუცილებელია კამპანიის დაგეგმვის პროცესში:

- რომელი სოფლები და მიწები მოყვება კაშხლისა და რეზერვუარის მშენებლობის გამო ზემოქმედების ქვეშ?
- რამდენ ადამიანს მოუწევს გადასახლება?
- რამდენი ადამიანი დაკარგავს მეთევზაობის შესაძლებლობას და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს?
- რა ღირებულებისაა ის მიწა, მოსავალი, სახლები და/ან თევზის რესურსი, რომლებსაც დაკარგავს ხალხი კაშხლის მშენებლობის შედეგად?
- რა ოდენობის კომპენსაცია ან გადასახლების რა ალტერნატივა იქნა შეთავაზებული მოსახლეობისთვის?
- ვინ აპირებს კაშხლის მშენებლობას? ეს არის მთავრობა, კერძო კომპანია, თუ ორივე?
- ვინ აფინანსებს კაშხლის მშენებლობას?

რა არის თქვენი მიზნები?

კამპანიის დაგეგმვის შემდეგი ნაბიჯი ეს არის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა ამ მიზნების მისაღწევად. აქაც აუცილებელია ფოკუსირება შემდეგ კითხვებზე:

- რისი მიღწევა გსურთ?
- გინდათ თუ არა მშენებლობის შეჩერება?
- გინდათ თუ არა უკეთესი კომპენსაცია?
- გინდათ თუ არა ხმის უფლება კაშხლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

შეეცადეთ, რომ თქვენ მიზნებს იზიარებდეს ადგილობრივი მოსახლეობის თვითოეული წარმომადგენელი. ეს მიზნები შესაძლებელია გადააქციოთ მოთხოვნად თქვენი კამპანიისთვის, მაგალითად, “შეჩერდეს X კაშხლის მშენებლობა” ან “უფრო მეტი კომპენსაცია X მოსახლეობას.”

ვინ არიან თქვენი მოკავშირეები და ოპონენტები?

მოკავშირეების მოძიებაა კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. კარგად უნდა იქნას მოფიქრებული და შერჩეული ვინ იქნება საუკეთესო მოკავშირე კამპანიის დროს. თქვენი წარმატება ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მხარდაჭერა გაქვთ თქვენ ადგილობრივ მოსახლეობაში, ზოგადად საზოგადოებასა თუ სხვა ჯგუფებში.

კარგად უნდა განისაზღვროს ასევე ის, თუ ვინ იქნებიან თქვენი ოპონენტები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და რა შეუძლიათ მათ, რომ მოიმოქმედონ თქვენს წინააღმდეგ. ოპონენტები შეიძლება იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის სხვა წევრებიც, ასევე სახელმწიფო ჩინოვნიკები, კაშხლის მშენებელი კომპანიები და დამფინანსებლები.

ვინ არის თქვენი სამიზნე ჯგუფი

მოფიქრეთ ვის შეუძლია მოგცეთ ის რასაც ითხოვთ, ვინ წყვეტს კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გადაწყვეტილების მიმღებნი შეიძლება იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, ან კაშხლის მშენებელი კომპანიები ან დამფინანსებლები, მაგალითად, მსოფლიო ბანკი. სწორედ გადაწყვეტილების მიმღებნი წარმოადგენს სამიზნე ჯგუფებს.

გასათვალისწინებელია ისიც, თუ რომელ მიზნობრივ ჯგუფზე უფრო ადვილია ზემოქმედების მოხდენა. თუ მთავრობა არ არის ძალიან ღია, შესაძლებელია კაშხლის დამფინანსებლებზე ზემოქმედების მოხდენა უფრო ადვილი და მიზანშეწონილი იყოს.

რა სტრატეგიები შეაქვთ იმდენ აზრს თქვენს სამიზნე ჯგუფს?

როგორ უნდა დაარწმუნოთ გადაწყვეტილების მიმღებნი, რომ აზრი შეიცვალონ და თქვენს მოთხოვნებს დაუჭირონ მხარი? იქნება თუ არა საპროტესტო აქციები ეფექტური? შესაძლებელია თუ არა მას-მედიის საშუალებების გამოყენებით მათი აზრის შეცვლა? იქნება თუ არა სასამართლოს ან პარლამენტის გადაწყვეტილება ეფექტური?

ჩვეულებრივ, სწორედ ზემოთაღნიშნული მოქმედებების კომბინაცია აღწევს საუკეთესო შედეგს. ამასთანავე ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მოქმედებები დროში იქნას გაწერილი და კამპანიის თითოეულ მონაწილეს გათავისებული ჰქონდეს თავისი წილი პასუხისმგებლობა თითოეულ მოქმედებაზე.

რა ოდენობის ფინანსური რესურსია საჭირო კამპანიის საწარმოებლად?

ყველა კამპანიისთვის აუცილებელია ფინანსური რესურსი. ბევრი ჯგუფი დამოკიდებულია შემოწირულობებზე. დაფინანსების სხვა წყაროები მოიცავს სხვადასხვა ფონდებს, დანაშაულის სააგენტოებს და სხვა. ასე რომ თუ გესაჭიროებათ დაფინანსება, შეეცადეთ დაეკონტაქტოთ უფრო ღიდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელნიც შესაძლოა, დაგეხმარონ ფულის მოძიებაში.

ღიდ კაშხლებთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიები

ზოგიერთი სტრატეგია შეიძლება იყოს ეფექტური კაშხლის მშენებლობის ყველა ეტაპზე. ქვემოთ გთავაზობთ რამოდენიმე იდეას, რომელიც შეგიძლიათ კამპანიისას გამოიყენოთ.

ორგანიზება და მობილიზება -

თქვენი კამპანიის წარმატება დამოკიდებულია მრავალი ადამიანის ერთიანობაზე. მთავრობები და კაშხლის მშენებლები ხშირად ცდილობენ შექმნან კონფლიქტური სიტუაციები, იმ მოსახლეობაში, რომლის ტერიტორიაზეც გათვალისწინებულია კაშხლის მშენებლობა, ამიტომ ადრეულ ეტაპზევე ხალხის ერთობა გაურთულებს მათ ამ ამოცანის შესრულებას.

ხალხის გაერთიანების ერთ-ერთი გზა საკუთარი ორგანიზაციის შექმნა ან ქსელის შექმნის გზით სხვა ორგანიზაციასთან დაკავშირებაა. ამიტომ მოინახოს თქვენს ქვეყანაში კაშხლებთან საწინააღმდეგო ორგანიზაციები, მოაწყობთ მათთან შეხვედრები, რათა დაიგეგმოს კამპანია და განხილულ იქნას მოქმედებები. აუცილებელია, ასევე შეიქმნას ალიანსები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მკვლევარებთან, ადვოკატებთან და ექსპერტებთან.

დემონსტრაციების, გაფიცვების, ბოიკოტებისა და ბლოკადების მოწყობა აუცილებელია იმისთვის, რომ ყურადღება მიიქციოთ. ასეთი ქმედებები განსაკუთრებულ წარმატებებს მამინ აღწევენ, თუ სამიზნეს ის ინსტიტუტები წარმოადგენენ, რომლებიც კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებით იღებენ გადაწყვეტილებას.

ინფორმაციის გავრცელება

ბროშურები, პოსტერები, ანგარიშები და სხვა მასალები, რომელიც ასახავს კაშხალსა და მის ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე, შეიძლება გავრცელდეს როგორც ზემოქმედების

ქვემო მოქცეულ მოსახლეობაში, ასევე საზოგადოებაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში ქვეყნის მასშტაბით და სამთავრობო უწყებებში. ეს არის თქვენი მოთხოვნების საჯაროდ გაცხადების კარგი გზა.

მედიასთან მუშაობა

მოახდინეთ თქვენი მოთხოვნის ფართოდ გავრცელება რადიოს, გაზეთებისა და ტელევიზიის საშუალებით. ეს დაგეხმარებათ მთავრობაზე და კაშხლის მშენებლებზე ზეგავლენის მოხდენაში. დაურეკეთ იმ ჟურნალისტებსაც, რომელთაც ადრე მსგავს თემაზე სტატიები ჰქონდათ დაწერილი და მოუყევით თქვენი კამპანიის შესახებ. მოაწყვეთ პრესკონფერენციები და იყავით მუდმივ კონტაქტში ჟურნალისტებთან. თხოვეთ არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა ჯგუფებს, რათა დაგეხმარონ თქვენი მოთხოვნის ადრესატებამდე მიტანის სხვადასხვა გზების მოძიებაში.

მთავრობისა და დამფინანსებლების ლობირება

შეხვედით გადაწყვეტილების მიმღებთ და მოუყევით თქვენი პრობლემების შესახებ. დაარწმუნეთ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე სახელმწიფო ჩინოვნიკები და პარლამენტის წევრები, რათა მათ მხარი დაუჭირონ თქვენს მოთხოვნებს. თუ კაშხალი დაფინანსებულია კერძო ბანკების ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, მაშინ უნდა ითანამშრომლოთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც.

იურიდიული ქმედებები

ზოგჯერ კაშხლების მშენებლობის გაჩერებისთვის ან უკეთესი კომპენსაციის მიღებისთვისაც მომგებიანი იურიდიული ქმედებები. იპოვეთ ადვოკატი და გამოიკვლიეთ, არის თუ არა დარღვეული კაშხლის მშენებლების მიერ რაიმე კანონი.

შესთავაზეთ ალტერნატივები

შეეცადეთ იპოვოთთ ექსპერტები, რომლებიც მოგეხმარებიან დიდი კაშხლის ალტერნატივების მოძიებაში (დაწვრილებით იხ.თავი 5)

ბრაზილიელები პილარის კაშხლის წინააღმდეგ

1990-იან წლებში უცხოურმა კომპანიებმა გადაწყვიტეს აეშენებინათ ბრაზილიის მინას გერაის მტატში მდინარე პირანგაზე კაშხალი. კაშხლის გამო გადასახლება მოუწევდა 133 ფერმერს და განადგურდებოდა მეთევზეობები, ხოლო მდინარის ქვედინების გასწვრივ მცხოვრები ათასობით ადამიანი კი დაზარალდებოდა მდინარეში წყლის დონის ცვლილების გამო.

ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, უნივერსიტეტის მკვლევარებმა და საეკლესიო ჯგუფებმა შექმნეს ალიანსი პილარის კაშხლის წინააღმდეგ. მათ ერთობლივად დაადგინეს საკუთარ ყოფა-ცხოვრებაზე კაშხლის ზემოქმედებები. წაიკითხეს კომპანიების კვლევები და აღმოაჩინეს მრავალი დარღვევა. ეს ინფორმაცია მათ გაუზიარეს სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რომლებიც ასევე შეწუხებულნი იყვნენ გარემოზე კაშხლის ზემოქმედების გამო.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მკვლევარებმა მოამზადეს ადგილობრივი მოსახლეობის კაშხალთან დაკავშირებულ საჯარო განხილვისათვის. ისინი ასევე დაეხმარნენ ფერმერებს, რათა შეედარებინათ მიწასა და რესურსებთან დაკავშირებული მონაცემები ოფიციალურ დოკუმენტებში წარმოდგენილ მონაცემებთან.

ადგილობრივი მოსახლეობა კარგად მომზადებული შეხვდა საჯარო განხილვას. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები მდინარე პირანგაზე, ხოლო მაცხოვრებლები შეიარაღებულნი იყვნენ ნიშნებით “ლ”, (წაღი დაქედან). თემის ლიდერებმა კი დააფიქსირეს მყარი პოზიცია, რომელიც გამოხატავდა მათ შემფოთებას კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებით. ადგილობრივი მოსახლეობის ზეწოლამ, გარემოს დაცვითი დოკუმენტების გაკრიტიკებამა და სახელმწიფო ჩინოვნიკთა შემფოთებამ აიძულა კომპანიები, რომ გაეუქმებინათ კაშხლის მშენებლობის პროექტი.

რამოდენიმე წლის წინ, როდესაც ერთ-ერთმა კომპანიამ კვლავ გადაწყვიტა ახალი კაშხლის მშენებლობა ამავე ადგილზე, ხალხი კვლავ შეიკრიბა და უთხრა მათ “არა”. ზუსტად 43 დღის შემდეგ კომპანიამ თვითონ გადაიფიქრა მშენებლობის დაწყება.

თუ საჭირო გახდება ადგილობრივი მოსახლეობა მზად არის წინ აღუდგეს ასეთი მშენებლობის დაწყებას მომავალშიც.

როგორ უნდა შექმნათ საკუთარი კვლევა

ნაბიჯი 1: მოაწყვეთ შეხვედრები იმათთან, ვინც გსურთ, რომ მონაწილეობდეს ამ კვლევაში. დაპატიჟეთ რაც შეიძლება ბევრი ხალხი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლებიდან და ესაუბრეთ მათ იმაზე, თუ რისი გამოკვლევა გაქვთ განზრახული;

ნაბიჯი 2: გამოკვლევის შესასრულებლად აუცილებელია ჯგუფებად დაყოფა. ჯგუფებში ის ხალხი უნდა შეიყვანოთ, ვინც იმ მიდამოებს კარგად იცნობს. მაგალითად, მეთევზეებმა უნდა გააკეთონ თევზთან დაკავშირებული კვლევა.

ნაბიჯი 3: უნდა გადაწყვიტოთ კვლევის ჩასატარებლად რომელი მეთოდი გამოიყენოთ. ქვემოთ მოყვანილია რამოდენიმე იდეა ამასთან დაკავშირებით:

თევზჭერასთან დაკავშირებული კვლევა: მდინარე უნდა დაიყოს ზონებად. მეთევზეების ჯგუფებმა უნდა გაინაწილონ ეს ზონები. თითოეული თევზის დაჭერის შემდეგ უნდა იქნას შენახული დაჭერილი თევზის სახეობის ნიმუში. შემდეგ უნდა მოეწყოს შეხვედრა, რათა ხალხმა ისაუბროს ამ სახეობაზე, მიგრაციის თავისებურებებზე, ზომაზე, წონაზე. თუ ფოტოაპარატი გაქვთ გადაუღეთ სურათი თითოეულ სახეობას, რომელიც იქნება დაჭერილი. შემდეგ შეინახეთ ეს ფოტო ბლოკნოტში და სურათის გასწვრივ ჩაწერეთ ინფორმაცია ამ თევზის შესახებ;



მდინარის ნაპირებზე არსებული ბაღების კვლევა: დაყავით მდინარე ზონებად. თითოეულ ზონაში გაზომეთ და აღრიცხეთ არსებული ბაღები, დაწერეთ ვინ არის ამა თუ იმ ბაღის მფლობელი, რა მოჰყავს ამ ბაღში, და როგორ იყენებენ აქ მოყვანილ ბოსტნეულს. თუ ბოსტნეულს ბაზარში ყიდიან, მაშინ მონიშნეთ რა თანხას იღებენ საშუალოდ ამ ბოსტნეულის რეალიზაციიდან.


ნაბიჯი 4: შეინახეთ მიღებული ინფორმაცია. კარგად მოიფიქრეთ, თუ როგორ მოახდინოთ გადაწყვეტილების მიმღებებზე ზეგავლენა აღნიშნული ინფორმაციის გამოყენებით.

ტაის სოფლების მიერ განხორციელებული კვლევა

რამოდენიმე წლის წინ, ხალხი რომელიც ცხოვრობდა ტაი-ბურმას საზღვარზე გამავ მდინარე საღვენზე, იბრძოდა თავიანთი მთავრობების გეგმის წინააღმდეგ აშენებინათ კაშხლები მდინარის გასწვრივ. მათ გადაწყვიტეს შეექმნათ გამოკვლიათ თუ როგორ იყენებდნენ ისინი მდინარისა და გარემოს რესურსებზე და დოკუმენტურად დაედასტურებინათ. ორი წლის განმავლობაში 50 სოფელი აგროვებდა მონაცემებს მეთევზეობაზე, მის ტრადიციულ ფორმებზე, სამკურნალო მცენარეებზე, სასოფლო სამეურნეო მონაცემებს, და ბუნებრივ წიაღისეულზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები და მოხალისეები ეხმარებოდნენ მოსახლეობას მონაცემთა აღრიცხვაში, და საბოლოოდ დაწერეს ანგარიში, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა თვითონ გამოდიოდა მკვლევარების როლში. შოფლებებმა მოახდინეს იდენტიფიცირება თევზის, სამკურნალო

და საკვები მცენარეების მრავალი სახეობის, რომელთაც ისინი მდინარის დახმარებით მოიპოვებდნენ.



რა შეიძლება გაკეთდეს კაშხლის მშენებლობის თითოეულ ეტაპზე

ეტაპი 1: მშენებლობის დაწყების წინა პერიოდის ფაზა ხანგრძლივობა 2-20 წელიწადი ან უფრო მეტი;

კაშხლის მშენებლობის დაწყებამდე კაშხლის მშენებლები მრავალ კვლევას ახორციელებენ, რათა შეამოწმონ შეიძლება, თუ არა აღნიშნულ ადგილას კაშხლის მშენებლობა. მათ ასევე აინტერესებთ, რა ზეგავლენები შეიძლება ჰქონდეს ამ კაშხალს. ამ კვლევების უმეტესობას უცხოური კომპანიები ასრულებენ.

1. წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა (Pre-Feasibility Study). ეს კვლევა ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ კაშხალი შესაძლებელია აშენდეს. ის განსაზღვრავს რამდენად შესაბამისია ადგილი დიდი კაშხლის ასაშენებლად, რამდენი ელექტროენერგიის გამოქუშავებაა დაგეგმილი და კაშხლის სავარაუდო ღირებულება;
2. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და დეტალური გეგმა (Feasibility Study). ეს კვლევა მხოლოდ იმ ინფორმაციას შეიცავს, რაც აუცილებელია კაშხლის ასაშენებლად. ის მოიცავს კლიმატს, გეოლოგიას, რამდენი წყალია მდინარეში და ა.შ. ამიტომ თუ დაინახავთ უცხო ხალხს, რომელიც ზომავს და თხრიან მიწას, მაშინ სავარაუდოდ ისინი აკეთებენ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას;
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ). გზმ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია კაშხლის გარემოზე ზემოქმედებებთან. ის ასევე მოიცავს ამ ზემოქმედებების შემსუბუქების ღონისძიებებსაც. გზმ-ში ხშირად ნათქვამია, რომ უმრავლესობა ზემოქმედებებისა შესაძლებელია შემსუბუქდეს და ამიტომ კაშხლის მშენებლობა დასაშვებია;
4. განსაზღვრების გეგმა/სოციალური განვითარების გეგმა. ეს კვლევა მოიცავს იმ გეგმებს, რომელიც დაკავშირებულია იმ ხალხის გადასახლებაში, რომელნიც რეზერვუარის სავარაუდო ადგილზე ცხოვრობენ. ის ასევე მოიცავს კომპენსაციების შესახებ გეგმებსაც.

ამ გეგმების შესრულების შემდეგ, კაშხლის მშენებლები ხვდებიან მთავრობას და ბანკებს და ცდილობენ მიიღონ დაფინანსება კაშხლის მშენებლობისთვის.

როგორ უნდა იმოქმედო ამ ეტაპზე?

კაშხლის პროექტზე ზეწოლის მოსახდენად ეს საუკეთესო დროა. თუ ფიქრობთ, რომ კაშხალი გაანადგურებს თქვენს სოფელს, მაშინ უნდა შეეცადოთ შეაჩეროთ ეს პროექტი. მოიძიეთ რა უფლებები გაქვთ ადგილობრივი კანონმდებლობით. მოითხოვთ მთავრობისაგან საჯარო განხილვების გამართვა, სადაც შესაძლებელია გექნებათ დებატები გამართოთ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იღებს სარგებელს და ვინ ზარალდება კაშხლის მშენებლობით. შეეცადეთ იურიდიული ქმედებითაც შეაჩეროთ კაშხლის მშენებლობა. ითანამშრომლოთ ექსპერტებთან, რათა უკეთესი ალტერნატივები ან საკომპენსაციო გეგმები იქნას შემუშავებული და გახადეთ ეს პროცესი საჯარო.

თქვენი კამპანია წარმატებული კიდევაც რომ აღმოჩნდეს და შეაჩეროს კაშხლის მშენებლობა, მოგვიანებით მთავრობა შეიძლება კვლავაც შეეცადოს მის აშენებას, ამიტომაც ხანგრძლივადიანი ბრძოლისთვის ძლიერი ალიანსების შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია

კაშხალთან დაკავშირებული კვლევების მიმოხილვა

მოითხოვეთ, რომ მშენებლთა მიერ მომზადებული კვლევები გახდეს საჯარო. სთხოვეთ ექსპერტებს რათა მათ შეისწავლონ დოკუმენტები და გამოაქვეყნეთ მათ მიერ მომზადებული ანგარიში. ამ ანგარიშში შესაძლებელია გამოავლინოს ის დარღვევები, რაც საშუალებას მოგცემთ, წინასწარ განისაზღვროს, ის პრობლემები რაც კაშხლის მშენებლობის გამო შეიძლება წარმოიშვას.

განხორციელებული თქვენი საკუთარი კვლევები

ხშირად კაშხლები შენდება იმ კვლევების გარეშე, რომლებიც აღწესდებიან რამდენადაც დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობა მდინარეზე და გარემოს რესურსებზე. შესაბამისად კაშხლის აშენების შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობას არ გადაეხდება სრული კომპენსაცია, ვინაიდან არ იარსებებს არანაირი კვლევა თუ რეალურად რა დაკარგა ამ ხალხმა. ამიტომ აუცილებელია, რომ თქვენს მიერვე იქნას აღრიცხული ყოველივე და იქნას განსაზღვრული ის, თუ როგორ არის დამოკიდებული თქვენი სოფელი გარემოს რესურსებზე. (იხ. ჩანართი ტაის სოფლების მიერ განხორციელებული კვლევა).

ვინ აფინანსებს კაშხალს

გამოიკვლიეთ ვინ აფინანსებს კაშხალს. თუ დამფინანსებელი სხვა ქვეყანაა, დაუკავშირდით ამ ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებს და სთხოვეთ მათ დახმარება. (იხ. დანართი, არასამთავრობო ორგანიზაციათა სია).

იურიდიულად გაფორმებული შეთანხმებების მოთხოვნა

თუ გადაწყვეტთ, რომ დათანხმდეთ კაშხლის მშენებლობას, უნდა დარწმუნდეთ იმაში, რომ ხელს აწერთ შეთანხმებას, სადაც სრულად არის ასახული ყველა დაპირება. დარწმუნდით, რომ შეთანხმების ყველა პუნქტი გესმით. არ მოაწეროთ ხელი იმას, რასაც ვერ გეხსიათ. მთავრობა და კაშხლის მშენებლები შეიძლება დაგპირდნენ, რომ თქვენ მიიღებთ ახალ სახლებს, უკეთეს მიწას, მაგრამ როგორც წესი ასეთი დაპირებები იშვიათად შეესაბამება ხოლმე სიმართლეს.

ეტაპი 2: მშენებლობის ფაზა - ხანგძლივობა: 5-15 წელი.

ხშირად მშენებლობა გრძელდება უფრო დიდხანს, ვიდრე ეს თავიდან იყო ნაგარაუდები. ზოგჯერ ეს გამოწვეულია ტექნიკური სიძნელებით, ზოგჯერ კი კორუფციით.

დიდი კაშხლის მშენებლობა ჩვეულებრივ ასე გამოიყურება:

- მცირე კაშხალი (Coffer Dam): შენდება მცირე კაშხალი, რათა შეიკვალოს მდინარის დინების მიმართულება. ეს იმიტომ კეთდება, რომ ძირითადი კაშხლის ასაშენებელი ადგილი არ დაიფაროს წყლით.
- ქვედადინების მცირე კაშხალი (Downstream coffer dam): ზოგჯერ ამ კაშხალს იმიტომ აშენებენ, რომ თავიდან აიცილონ მდინარის წყლის შემობრუნება და დაგროვება ძირითადი კაშხლის ასაშენებელ ადგილას.
- დერეფაციის არხი (Diversion Channel): მდინარე მიედინება ამ არხში სანამ ეს კაშხალი აშენდება.
- ძირითადი კაშხლის მშენებლობა: რამდენიმე წელი არის საჭირო ძირითადი კაშხლის ასაშენებლად.
- მომავალი რეზერვუარი: მას შემდეგ რაც აშენდება ძირითადი კაშხალი, იწყება რეზერვუარის შევსება. ზოგჯერ მის შევსებას ერთი ან მეტი წელი სჭირდება.

რას შეგიძლიათ მიაღწიოთ ამ ეტაპზე:

თქვენი კამპანია კვლავ შეიძლება წარმატებული იყოს მიუხედავად მშენებლობის პროცესისა. თქვენ შეგიძლიათ შეაჩეროთ მშენებლობა (საპროტესო აქციების ან იურიდიული ქმედებების შედეგად), მოითხოვო მუტი კომპენსაცია ან გახადოთ პროექტი უკეთესი.

საპროტესტო ქმედებები

ამ ეტაპზე შესაძლებელია მოეწიოს არა ძალადობრივი აქციები კაშხლის მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით. ან თვალყური უნდა მიაღვენოთ მშენებლობისა და განსახლების პროცესს და თუ კაშხლის მშენებლები ან მთავრობა არ აკეთებენ იმას, რაც უნდა გაეკეთებინათ, მაშინ უნდა მოაწიოთ საპროტესტო გამოსვლები და მოითხოვოთ პირობების შესრულება.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

თუ კაშხალი დაფინანსებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ, მაშინ უნდა ითანამშრომლოთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა პრობლემების შესახებ ინფორმაციით დროულად უზრუნველყოთ პროექტის დამფინანსებელი. ზოგჯერ დამფინანსებელი ახდენს ზეწოლას კაშხლის მშენებლებზე, თუ მშენებლობის ან განსახლების პროცესი სათანადოდ არ მიმდინარეობს. თუ აღმოჩნდება რომ პროცესი სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობს, დამფინანსებელმა შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს პროექტის დაფინანსება, სანამ კაშხლის მშენებლები არ მოიმოქმედებენ ყოველივეს პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის.

ეტაპი 3:

საოპერაციო პერიოდის ფაზა: გრძელდება დაახლოებით 50 წელი (ზოგჯერ მეტი ან ნაკლები)

რა ხდება ამ ეტაპზე

კაშხლების აშენების შემდეგ იწყება მათი ექსპლუატაცია. ზოგიერთი რეზერვუარი სწრაფად ივსება მდინარის ნატანით, ზოგიერთი რეზერვუარი ხდება სასიფათო ან საერთოდ ინგრევა. როცა კაშხალი მიაღწევს ექსპლუატაციის ვადის ბოლოს, ის საჭიროებს ან შეკეთებას ან დემონტაჟს.

რა შეიძლება გაკეთდეს ამ ეტაპზე

მოითხოვთ აღდგენა

უკვე აშენებული კაშხლების აშენების შემთხვევაშიც კი, ხშირად დაზარალებული მოსახლეობა ვერ ღებულობს სათანადო კომპენსაციას. აუცილებელია მსგავსი შემთხვევების გამოკვლევა და სათანადო კომპენსაციის მოთხოვნა.

მრავალი ადამიანი რომლებზეც კაშხალმა მოახდინა უარყოფითი ზემოქმედება, ითხოვს კომპენსაციებს იმ ზიანზე, რომელიც მიაღვათ მათ წარსულში. ისინი ითხოვენ მთავრობების, ბანკებისა და კომპანიებისაგან, ანუ იმათგან ვინც იყო პასუხისმგებელი ამ უარყოფით ზემოქმედებებზე, რათა მოხდეს მათი კომპენსაცია. მსგავსი წარმატებული მაგალითები უკვე არსებობს (იხ. ჩანართი კომპენსაციის მოთხოვნა გვატემალაში)

მოითხოვთ ცვლილებები კაშხლის ოპერირების რეჟიმში

თქვენ ასევე შეგიძლიათ მოითხოვთ კაშხლის ოპერირების რეჟიმში, ცვლილებები რაც ხელს შეუწყობს მდინარის დინებას უფრო ბუნებრივ რეჟიმში. ამას ეწოდება კაშხლის რე-ოპერაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს ელექტროენერჯის გამოქმედების ცვლილებას დღის განმავლობაში, ან უფრო მეტი წყლის გაშვებას ქვედა დინებაში.

კომპენსაციის მოთხოვნა გვატემალაში

სანამ გვატემალა სამოქალაქო ომში იყო გახვეული, მთავრობამ ააშენა ჩიქსოის კაშხალი (Chixoy Dam) მაია აჩის ტერიტორიაზე. მაია აჩი გვატემალის აბორიგენი მოსახლეობაა. მას შემდეგ რაც ზოგიერთმა მაცხოვრებელმა უარი თქვა გადასახლებაზე, 400 ადამიანი იქნა მოკლული 1982 წელს ნახევრად გასამხედროებული ჯარის მიერ და 3500-ზე მეტი ადამიანი კი ძალით იქნა გარეკილი საკუთარი მიწებიდან. ათასობით ადამიანმა დაკარგა მიწა და საარსებო წყარო.

წლების განმავლობაში გადარჩენილები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ არასოდეს არ დაუკარგავთ სამართლიანობის აღდგენის იმედი და ამიტომ დღესდღეობით ეს ხალხი კვლავ ითხოვს სოციალური, ფიზიკური და ეკონომიკური ზარალისათვის სათანადო ანაზღაურებას.

ამ ხალხმა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მკვლევარების დახმარებით გამოაქვეყნეს ანგარიში, რომელშიც ნათლად აისახა კაშხლის ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე, სიღარიბესა და საკვებზე. ეს კვლევა ნათლად ასახავს იმას, თუ რა დაკარგა მაია აჩიმ და რატომ ეკუთვნით მათ ეს დახმარება.


2004 წლის ნოემბერში აბორიგენმა მოსახლეობამ საპროტესტო გამოსვლები მოაწყო. ორი დღის განმავლობაში მოსახლეობას დაკავებული ჰქონდა კაშხლის ტერიტორია. მის შემდეგ მთავრობა დათანხმდა კომისიის შექმნას, რომელიც დაადგენდა კომპენსაციების ოდენობას. პირველი ახლომა კომისიამ გამართა 2005 წლის დეკემბერში, სადაც განიხილეს ეს საკითხი.

ერთ-ერთმა გადარჩენილის, კრისტობალ ოსორიო სანჩეზის მიერ, „ ჩვენ ვითხოვთ, რათა აღდგეს ჩვენი სიამაყე და პატივისცემა ჩვენი კულტურისა და უფლებების მიმართ, რათა ჩვენმა ოჯახებმა კვლავ იცხოვროს შესაბამის პირობებში, განხორციელდეს პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობასა და მომავლს.“

თავი 5: დიდი კაშხლების ალტერნატივები

მოსახლეობისათვის წყლის, ენერჯისა მიწოდებისა და წყალდიდობებისგან დაცვისთვის არსებობს უკეთესი ალტერნატივები ვიდრე დიდი კაშხლები. ეს ალტერნატივები ხშირად უფრო იაფია, უფრო სწრაფად განხორციელებადია და ნაკლებად ენებს ხალხსა და გარემოს. მსოფლიოს გარშემო, დაზარალებული მოსახლეობა და არასამთავრობო ორგანიზაციები აგროვენ ინფორმაციას ალტერნატივების შესახებ და იყენებენ ამ ინფორმაციას ალტერნატივების ლობირებისთვის. მათი მცდელობის შედეგად შეჩერდა რამოდენიმე დესტრუქციული და არასაჭირო კაშხლების მშენებლობა.

ამ თავში, ჩვენ განვიხილავთ კაშხლების ზოგიერთ ალტერნატივას და იმ წარმატებულ ქმედებებზე, რომელიც განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობების მიერ ამ მიმართულებით. ჩვენ ვიმედოვნებთ რომ ეს თავი მიგანიშნებთ იმ ალტერნატივებს, რომელიც თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი კამპანიების დროს. ვინაიდან, ყველა რეგიონში სხვადასხვა საჭიროება (ენერჯის, წყლის და სხვ.) მიმართულებებით თქვენ თვითონ უნდა აირჩიოთ რა არის უკეთესი თქვენი რეგიონისათვის.



ელექტროენერჯის ალტერნატივა

მოსახლეობის უწყვეტი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფის მიღწევის რამოდენიმე გზა არსებობს: ელექტროენერჯიაზე მთლიანი მოთხოვნის შემცირება, არსებული დანადგარების და გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია და ახალი ენერჯო წყაროების მშენებლობა.

ენერგიაზე მოთხოვნის შემცირება

იმისათვის რომ ენერგიაზე მოთხოვნა შემცირდეს, მთავრობებს შეუძლიათ მოუწოდონ ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობას, ქარხნებსა და სხვა ბიზნესის მფლობელებს, რომ მაქსიმალურად ეფექტურად მოიხმარონ ენერგია. ამისთვის მთავრობამ შეიძლება შესთავაზოს კრედიტები მოსახლეობასა და წარმოებას ენერგოეფექტური დანადგარების შ, ან დაბეგროს უფრო მეტად ის კომპანიები, რომლებიც ენერგოარაეფექტურ დანადგარებს იყენებენ. მსგავსი ტიპის ქმედებები გაცილებით იაფი ჯდება და გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა გარემოსთვის, ვიდრე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ახალი ენერგო-ობიექტებისა და კაშხლების მშენებლობა.

არსებული კაშხლებისა და გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია

ენერგო-ობიექტებიდან ელექტრო ენერგია ქალაქებს, ქარხნებსა თუ მოსახლეობას გადამცემი ხაზების საშუალებით მიეწოდება. მრავალ ქვეყანაში არსებული გადამცემი ხაზების დაბალი ხარისხის გამო ენერგიის დანაკარგები საკმაოდ დიდია, ამიტომ აღნიშნული გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის შედეგად შესაძლებელია ამ დანაკარგების შემცირება.

ასევე შესაძლებელია ელექტროენერგიის მიღების გაზრდა არსებული კაშხლებისა და ენერგო-ობიექტების რეაბილიტაციის ხარჯზეც.


ახალი ენერგო წყაროების მშენებლობა

მცირე ჰიდროელექტროსადგური

მცირე ჰიდროელექტროსადგურები შეიძლება იყოს როგორც მიწის, ქვის ასევე ხის და მიწაზე და მათი სიმაღლე როგორც წესი მხოლოდ რამოდენიმე მეტრს შეადგენს. ასეთი ტიპის ჰესები ხშირად რეზერვუარის გარეშე ფუნქციონირებენ, რაც გამორიცხავს მოსახლეობის გადასახლებას. მნიშვნელოვნად რც მდინარის დინება. ძალიან მცირე ჰესები ხშირად კაშხლებს საერთოდ კი არ საჭიროებენ, თვით ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ, როგორც ეს ჩინეთში, ინდოეთსა და ნეპალშია.




სა მრავალ ქვეყანაში ენერგიის ჩვეულებრივი წყაროა. ბიომასა მიიღება მცენარეებისა და ნარჩენებისგან. ბიომასისგან მიღებული ბუნებრივი აირით ა შენობების გათბობაც კი.. ბიომასის გამოყენება უფრო კაბითაც არის შესაძლებელი. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში სადაც შაქრის ლერწამი მოჰყავთ, ელექტროენერგიის მიღება ამ ლერწმის ღეროებისგან არის შესაძლებელი. ელექტროენერგიის მიღება ხის ნარჩენებისა და ბრინჯის ჩენჩოს გამოყენებითაც შეიძლება.



მზის ენერგია

ელექტროენერგიის მიღება შესაძლებელია მოხდეს სახლის სახურავებზე დადგმული მზის ელემენტებისგან. რაც უფრო დიდია მზის ელემენტები, მით მეტი ენერგიის მიღებაა შესაძლებელი.



ქარის ენერგია

ქარის ენერგიის მიღება გაცილებით ნაკლები ზიანის მომტანია გარემოსათვის, ვიდრე დიდი კაშხლებიდან მიღებული ენერგია. მრავალ ევროპულ სახელმწიფოში, ისეთებში როგორცაა გერმანია და ესპანეთი, ქარის ტურბინებით ხდება ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოძევა.

გეოთერმული ენერგია

გეოთერმული ენერგია ენერგიის საწარმოებლად დედამიწის შიგნით არსებული სითბოს იყენებს. მიწის ქვეშ არსებული წყლისა

და ორთქლის რეზერვუარები ამ სიტბოს მეშვეობით თბება. შესაძლებელია ამ ენერჯის ელექტრო ენერჯიად გარდაქმნა. მაგალითად, ფილიპინებზე და ელ სალვადორში გეოთერმული რესურსებით მთლიანად გამოიმუშავებული ელექტროენერჯის 25% იწარმოება.

კაშხლების წყალდიდობების მართვის ალტერნატივა

დიდ კაშხლებს ხანდახან აშენებენ წყალდიდობების მართვის მიზნით. მიუხედავად ამისა, დიდი წყალდიდობის შემთხვევაში მსგავსმა კაშხალმა შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს სიტუაცია. არსებობს წყალდიდობების და მათი დამანგრეველი ზემოქმედების თავიდან აცილების მრავალი გზა. ეს მოიცავს წყალშემკრებების დაცვასა და წყალდიდობის გამაფრთხილებელი სისტემებს.

წყალშემკრებების აღდგენა და დაცვა

წყალშემკრებების აღდგენა და დაცვა წარმოადგენს წყალდიდობებისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას. დაუზიანებელი ჭაობები და ჭალის ტყეები იცავს მოსახლეობას დატბორვისაგან. ჭაობები ი წყალს როგორც ღრუბელი ისე ისრუტავს. ამასთან ხეები ანელებს წყლის დინების სიჩქარეს, რის შედეგადაც წყალი უფრო ნელა მიედინება კალაპოტში. ხოლო როდესაც წყლის დონე ეცემა ჭაობები ნელ ნელა უშვებენ უკან შესრუტულ წყალს. დღეს დღეისობით მრავალი ჭაობი, კალაპოტი და ტყე განადგურებული სამრეწველო განვითარების შედეგად, რაც ზრდის როგორც წყალდიდობის რისკებს აგრეთვე მათგან მიყენებულ ზარალს. წყალდიდობების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ჭაობების, ჭალის ტყეებისა და ტყეების დაცვა.

წყალდიდობის გამაფრთხილებელი სისტემები

მთავრობებს შეუძლიათ ჩაღონ ფინანსები წყალდიდობის გამაფრთხილებელი სისტემებში, რათა მოსახლეობა ადრეულად იყოს გაფრთხილებული წყალდიდობასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ავიცილოთ თავიდან მსხვერპლი და შევამციროთ დანაკარგები. სისტემები მოიცავს როგორც გამაფრთხილებელ მოწყობილობებს, აგრეთვე საგანგებო სიტუაციათა გეგმებს წყალდიდობის შემთხვევაში.

ბოლოოქმა

იმედია, რომ ეს სამოქმედო სახელმძღვანელო დაგეხმარებათ კაშხლების წინააღმდეგ ბრძოლაში. იმედია, რომ სხვათა წარმატებული მაგალითები გააძლიერებენ წარმატების მიღწევის იმედს, ვინაიდან თქვენ თქვენს უფლებებს და საარსებო გარემოს იცავთ და თქვენ ამ ბრძოლაში არ ხართ მარტო. როგორც 1997 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კაშხლების მიერ დაზარალებული მოსახლეობის ფორუმზე ითქვა: “ჩვენ ვართ ძლიერნი, განსხვავებულნი მაგრამ ერთიანი და ჩვენი ბრძოლა სამართლიანი. ჩვენ გავაჩერეთ რამდენიმე დამლუპული კაშხალი და ვაიძულეთ კაშხლების მშენებლები პატივი სცენ ჩვენს უფლებებს. ჩვენ გავაჩერეთ და გავაჩერებთ დიდი კაშხლების მშენებლობას მომავალშიც” (დეკლარაცია , კურიტიბა, ბრაზილია 14 მარტი, 1997).

ერთად ჩვენ შევაჩერებთ კაშხლების მშენებლობას და დავიცავთ დაზარალებული მოსახლეობის უფლებებს. ერთად შევძლებთ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის ენერჯო და წყლის მოთხოვნილება, გარემოსა და მოსახლეობის უფლებების შეუღალხავად.

ერთად ჩვენ შეგვიძლია უკეთესი მომავლის შექმნა!



მწვანე
ალტერნატივა

საქართველო, თბილისი, 0162
ყიფშიძის ქ № 5ა. მე-4 სადარ, მე-7 სართ.
ტელ: (+995 32) 22 16 04
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ გვერდი: www.greenalt.org